საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთავრული

მთავრული, უძველესი ქართული დამწერლობის აღმნიშვნელი ტერმინი. სახელწოდება წარმოიშვა ნუსხური ანბანის გამოყენების ეტაპზე, რომლის დროსაც მრგლოვანი ასრულებდა მ. ასოების როლს. საზოგადოდ გამოიყენება საზედაო ასოების მნიშვნელობით. მთავრულ ასო-ნიშანს ქართ. ნუსხურ დამწერლობაში ორთოგრაფიული ფუნქცია აკისრია – აბზაცის საწყის ასო-ნიშნად იხმარება. მ. ეწოდება პოლიგრაფიულ დიდ, სტრიქონზედა ასო-ნიშნებსაც.